

მშრომელთა დღე ომის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის მშრომლებს

გასული ოთხმოცი წლის განმავლობაში, რომელიც ბოლო მსოფლიო ომს გვაშორებს, კონფლიქტები არ შეწყვეტილა. ისინი ხშირად ირიბი გზით წარიმართებოდნენ, დიდ იმპერიალისტურ მეტროპოლიათა პერიფერიფერიებში, სხვა რეგიონებსა და კონტინენტებზე რათა ყველაზე ძლიერ კაპიტალიზმებს შეძლებოდათ აგრეკულტურული, მინერალური და შრომითი რესურსებისა და ბაზრების დაპყრობა თავიანთი საქონლისათვის.

ბევრი ახალგაზრდა ქვეყნის მშრომელთა კლასმა - აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში - მიიღო მონაწილეობა ამ ომებში, თავიანთი ქვეყნის გათავისუფლებისთვის, რაც გაუტოლდებოდა უკეთეს საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს. ეს იმედები კი ხშირად იმ ახალი ჩაგვრისა და დიქტატურის სისხლში იძირებოდა, რომელიც „სოციალიზმის“ მითვისებული სახელის საბურველში იყო გახვეული.

* * *

თუმცა დღეისთვის, მსოფლიო კაპიტალიზმი უკვე ათწლეულებია კრიზისშია, სულშეხუთულია ჭარბწარმოებით, რომელიც ქარხნებს აჩერებს და ხელს უშლის მათ უსაზღვრო დაგროვებას. ეს არის წარმოების წესი, რომელიც ახლა, იძირება და იტანჯება თავის აგონიურ ფაზაში.

მას მხოლოდ განადგურებით შეუძლია გადარჩენა. სწორედ ამიტომ სჭირდება მას საყოველთაო ომი: ეს არა შემლილი და ბოროტი კაცების გადაწყვეტილება, არამედ გარდაუვალი ეკონომიკური აუცილებლობაა.

ომი, რომელიც საქონელთან ერთად ანადგურებს ყველა ნორმასა და ღირებულებას, ანულებს ვალებსა და კრედიტებს კაპიტალიზმის სასჯელს წარმოადგენს მისი წარუმატებლობისთვის. თუმცა ის ამავდროულად, მისი ვალების გადაფარვისა და სიმდიდრის დაგროვების ახალი ცხოველური ციკლის დაწყების საშუალებაცაა.

* * *

სწორედ ამიტომ არის, რომ დიდმა საფინანსო კლასმა, უკრაინაში აწ უკვე ორთვიანი ომის გაჩაღების ცივი გადაწყვეტილება მიიღო, ერთ-ერთი ეკონომიკური და სამხედრო გიგანტის მძიმე და პირდაპირი, ხოლო თითქმის სხვა ყველა ქვეყნის ირიბი ჩარევით, თავისი დამაყრუებელი ინტერვეციონისტული პროპაგანდის თანხლებით.

გლობალური მსხვილი კაპიტალის დამახილზე, ყველა ვასალი სახელმწიფო დაემორჩილა ომის დისციპლინას და ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, მედიაზე და პარლამენტზე დიქტატორული დისციპლინა დაწესდა. რეჟიმს, როგორც ყოველსომომცველიც ესაა, მუხრუჭები ადარ გააჩნია.

როგორც წინა მსოფლიო ომებში, ყველა სახელმწიფო იძულებულია გადაიარაღდეს და მალე მშრომელთა კლასის საუკეთესო ძალებს ომის ქარცეცხლში გადაიხვრის. იმ კლასის, რომელიც მხოლოდ მისი არსებობით, როგორც კი კომუნისტურ ხელმძღვანელობას იპოვის, ბურჟუაზიული

ძალაუფლების დამხობისა და კომუნისტების გზის გაკვალვის საფრთხეს მოასწავებს.

* * *

ამ ომის ფასი ასელობით მილიონის სიცოცხლე იქნება, შეწირული მსოფლიოს კაპიტალისტების მოგებათა დინებას.

კაპიტალისტების „ზედმეტად ბევრი ჩვენთაგანია“.

მირითადად მშრომლები იქნებიან ვისაც ომის ტანჯვა და უბედურება დააწვება. ისინიც კი, ვისაც პირდაპირ ფრონტზე არ მოუწევს გაგზავნა. ხელფასები უკვე კლებულობენ ფასების ზრდის გამო, რაც განსაკუთრებით ეხება პირველადი მოხმარების საქონელს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მარცვლეულის იმპორტზე არიან დამოკიდებული.

კაპიტალის რეჟიმმა უკვე წლების წინ დაიწყო ომის საფასურის პროლეტარიატისთვის დაკისრება გამანადგურებელ შეიარაღებაზე უზარაზარი რესურსების დახარჯვით. შეიარაღებაზე მსოფლიოს ყოველწლიური დანახარჯი ორი ტრილიონი დოლარია. კომუნისტებში, ეს მატერიალური რესურსები სხვანაირად იქნებოდა გამოყენებული, ისე, რომ მსოფლიოს ყველა ადამიანის ღირსეული არსებობა იქნებოდა უზრუნველყოფილი.

მუშათა კლასმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ამ ყოველივეს!

ის არ გაიღებს თავის სისხლის ბატონთა ომისთვის! მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია ომისთვის ხელის შეშლა!

ყველა ქვეყანაში, მშრომლებმა, თავი უნდა დააღწიონ ბურჟუაზიის გამშაგებულ მილიტარისტულ და ნაციონალისტურ პროპაგანდას, რომელიც სიმძლავრის ავრცელებს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარებს შორის და თავისი კლასის ძალაუფლება აწესრიგებს

ყველა ქვეყანაში, უნდა მოხდეს კლასობრივი პროფკავშირების გაძლიერება, ან სადაც ისინი ჯერაც არ არსებობენ, მათი გაჩენისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მხოლოდ ორგანიზებით შეუძლია მშრომელთა კლასს მისი უსაზღვრო ძალის გამოხატვა და გამოყენება.

მაგრამ იმისთვის, რომ ეს ძალა ისტორიულ განზომილებამდე ამაღლდეს, სჭირდება თავისი სახელმძღვანელო მექანიზმი, თავისი პარტია, რომელსაც აქვს მშრომელთა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გათავისუფლებისთვის ბრძოლის ტრადიცია, არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში არამედ მთელს მსოფლიოში: კომუნისტური, ინტერნაციონალისტური, რევოლუციური პარტია, ერთადერთი, რომელიც თავისი პროგრამით და ბრძოლის ტრადიციით აჩვენებს პროლეტარული კლასის აუცილებელ გზას, მშრომელთა გათავისუფლებისთვის ჩაგვრისგან, გაჭირვებისგან, ომისგან.

საერთაშორისო კომუნისტური პარტია
International-communist-party.org
კონტაქტი: icparty@interncommparty.org